ნინო სულავა
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი
Nino Sulava
Doctor of Historical Sciences
Georgian National Museum
Ot. Lortkipanidze Institute of Archaeology

ანტიკური ხანის სამაროვანი ცხეთაში - ახალი გათხრები 2015-2018 წწ

(მთიანი კოლხეთი, ლეჩხუმი)

Ancient Tomb in Tskheta - New Excavations 2015-2018

(Mountainous Colchis, Lechkhumi)

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.18

აბსტრაქტი

ცაგერის ისტორიული მუზეუმის კოლექციების დიდი ნაწილი, როგორც შემთხვევითი აღმოჩენები, ასევე გათხრებით მოპოვებული მასალა, სადეხვიროს ერთ-ერთი სოფლის ცხეთის ტერიტორიიდან არის შესული.

ანტიკური ხანის ცხეთის სამაროვნის მასალა ცაგერის ისტორიული მუზეუმის ფონდებში 1962 წელს შევიდა. ცხეთის სამაროვანის ნაწილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, არქეოლოგის ლ. სახაროვას ხელმძღვანელობით გაითხარა.

სოფელი ცხეთა მდებარეობს ცაგერის სამხრეთით, 15 კმ-ის მოშორებით. 1962 წლის გათხრების დროს სამაროვნის სავარაუდო ფართობი დასახლებული იყო, რის გამოც სამარხების ნაწილი განადგურებული და არეული იყო.

გათხრების შედეგად გამოვლინდა 15 ინჰუმაციური ორმოსამარხი. ცხეთის სამაროვნის სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია – სამკაულით (სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, სასაფეთქლეები,

მძივები), ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით (ფიბულები, ქინძისთავები, აბზინდები), საბრძოლო და სამეურნეო იარაღით (რკინის შუბისპირები და დანები, სალესები) და თიხის ჭურჭლით.

ცხეთის სამაროვანზე სამარხეული ინვენტარის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოიყო ანტიკური ხანის ორი ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხები – ძვ.წ. II (შესაძლოა III ს.) – I საუკუნეების და ახ.წ. I-IV საუკუნეების სამარხები.

2015 წელს იმავე სამაროვნის ტერიტორიაზე კვლავ განახლდა არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც აწარმოებდა ,,ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიური ექსპედიცია'' (ხელმძღვ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. სულავა). იმავე ტერიტორიაზე სადაზვერვო თხრილების კეთებისას ერთ-ერთ სადაზვერვო თხრილში კვლავ გამოჩნდა სამარხი. 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით ცხეთის სამაროვანზე გაითხარა 18 სამარხი.

გათხრების შედეგად გამოვლენილი სამარხები კვლავ ინჰუმაციური ორმოსამარხია.

ცხეთის სამაროვნის 2015-2018 წლებში აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი კვლავ წარმოდგენილია ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ტიპიური მასალებით.

2017 წელს პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილი ორგანული ნაშთებით დადგინდა, რომ სამარხეული დოქები ღვინისა და წყლისათვის გამოიყენებოდა; მტვრის მარცვლებს შორის აღმოჩნდა ვაზის მტვერი ვენახის სარეველებთან ერთად. დოქების ნიმუშებში დიდი რაოდენობითაა ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, რაც სამარხეში ხის კონსტრუქციის არსებობაზე მიუთითებს, ხოლო სელის ბოჭკოები, რომლებიც ასევე მრავლადაა ნიმუშების პალინოლოგიურ სპექტრში, სამოსის ან დოქზე გადაფარებული სელის ქსოვილის ნაშთი უნდა იყოს. არაპალინოლოგიური ნაშთებიდან ტკიპების სიმრავლე მიცვალებულების თბილ სეზონზე დაკრძალვის დასტურია.

ცხეთის სამაროვნის ახალი გათხრების მასალა კომპლექსურად პირველად ქვეყნდება.

საკვანძო სიტყვები: ლეჩხუმი, დეხვირი, ცხეთის სამაროვანი, ანტიკური ხანა, პალინოლოგია, ღვინო, სელი.

Abstract

A significant portion of the collections preserved in the Tsageri Historical Museum, including both chance finds and materials recovered through archaeological excavations, originates from the territory of Tskheta, one of the villages of Sadekhviro.

Materials from the Ancient Period cemetery of Tskheta entered the collections of the Tsageri Historical Museum in 1962. Part of the cemetery was excavated under the direction of archaeologist L. Sakharova, Candidate of Historical Sciences.

The village of Tskheta is situated approximately 15 km south of Tsageri. At the time of the 1962 excavations, the presumed cemetery area had already been partially occupied by modern settlement, resulting in the destruction and disturbance of several burials.

Excavations revealed fifteen inhumation pit graves. The grave assemblage included jewelry (bracelets, earrings, rings, temple ornaments, and beads), dress accessories (fibulae, pins, and buckles), weapons and utilitarian implements (iron spearheads, knives, and whetstones), as well as ceramic vessels.

Comparative and typological analysis of the funerary inventory enabled the identification of two chronological groups of burials: the first dating from the 2nd century BC (possibly as early as the 3rd century BC) to the 1st century BC, and the second from the 1st to the 4th centuries AD.

Archaeological investigations resumed at the same cemetery in 2015 under the auspices of the Lechkhumi (Tskheta–Dekhviri) Archaeological Expedition, directed by Dr. Nino Sulava. During exploratory trenching, an additional burial was discovered. Between 2015 and 2018, eighteen graves were excavated.

All newly investigated burials were identified as inhumation pit graves. The associated grave goods are represented by artifact types characteristic of the Ancient Period in western Georgia.

In 2017, palynological analysis of organic remains demonstrated that ceramic jars deposited in the graves had been used for storing wine and water. Pollen analysis revealed the presence of grapevine pollen together with weeds associated with vineyards. A considerable quantity of tracheal cells derived from wood was identified in the samples, suggesting the presence of a wooden funerary structure within the grave. Flax fibers, also abundant in the palynological spectrum, most likely represent remains of garments or linen cloth used to cover the vessels.

Among the non-palynological remains, the abundance of mites indicates that the deceased were buried during the warm season.

The materials recovered during the 2015–2018 excavations of the Tskheta cemetery are presented and published here comprehensively for the first time.

შესავალი

მთიანი კოლხეთის რეგიონი - ლეჩხუმი - არამარტო საქვეყნოდ ცნობილი კოლხური ბრინჯაოს კულტურის წარმოშობის ერთ-ერთი კერაა, სადაც სვანურ-ზანური ტომები ცხოვრობდნენ, რაც დასტურდება ენობრივი, ტოპონიმიკური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით, არამედ ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული პროვინციაა, რომელიც ქართული წყაროების გარდა მოხსენიებულია ბერძნულ, ბიზანტიურ და სომხურ წყაროებში - ლეჩხუმი/სკვიმნია-სკვიმია/თაკვერის - სახით [37].

ცაგერის ისტორიული მუზეუმის კოლექციების დიდი ნაწილი, როგორც შემთხვევითი აღმოჩენები, ასევე გათხრებით მოპოვებული მასალა, სადეხვიროს ერთ-ერთი სოფლის - ცხეთის ტერიტორიიდან არის შესული.

ცხეთის სამაროვნის მასალა ცაგერის ისტორიული მუზეუმის ფონდებში 1962 წელს შევიდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის შემსწავლელი ექსპედიციის (ხელმძღვ. გ. გობეჯიშვილი) რაზმმა არქეოლოგ ლ. სახაროვას ხელმძღვანელობით გათხარა ცხეთის სამაროვანის ნაწილი (სახაროვა 1967. სულავა 1996. სულავა ნ. 2014).

სოფელი ცხეთა მდებარეობს ცაგერის სამხრეთით, 15 კმ-ის მოშორებით. სოფელს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ეკვრის ერთმანეთზე მიჯრილი ხუთი ბორცვისაგან შედგენილი ქედი, რომელსაც ადგილობრივები ყვავიქედას ეძახიან. სამაროვნის სავარაუდო ფართობი დასახლებული იყო, რის გამოც სამარხების ნაწილი განადგურებული და არეული იყო.

გათხრების შედეგად 1962 წელს გამოვლინდა 15 ინჰუმაციური ორმოსამარხი, რომელთაგან შედარებით უკეთ იყო დაცული 5 სამარხი (## 2, 5, 9, 13, 14). სამარხები ჩვეულებრივი ორმოები იყო, მიცვალებულები დასვენებული იყვნენ გვერდზე, კიდურებმოხრილი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ორიენტაციით; სამარხები არის როგორც ინდივიდუალური, ასევე წყვილადიც; ## 1 და 12 სამარხში 3 მიცვალებულია დაკრძალული (სახაროვა 1967. სულავა 1996: 9. სულავა 2014: 87-90).

ცხეთის სამაროვნის სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია – სამკაულით (სამჯურები, საყურეები, ბეჭდები, სასაფეთქლეები, მძივები), ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით (ფიბულები,

[37] რაც ს. ყაუხჩიშვილმა დაასაბუთა (გაიზიარეს - ს. ჯანაშიამ,104 ნ. ბერძენიშვილმა, ნ. ლომოურმა, დ. ბერძენიშვილმა და სხვ.), რომ ჩხუმ-ცხუმის ბერძნულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს სკვიმია, რომელიც პროკოპი კესარიელის აღწერილობის მიხედვით ამ დროს ლაზეთში შემავალ ქრისტიანულ პროვინციას - ლეჩხუმს - ესადაგება (სულავა ნ., სხვ. 2020: 33).

ქინძისთავები, აბზინდები), საბრძოლო და სამეურნეო იარაღით (რკინის შუბისპირები და დანები, სალესები), თიხის ჭურჭლით (სულავა 1996: 10-35. სულავა და სხვ. 2012: 35-39).

ცხეთის სამაროვანზე სამარხეული ინვენტარის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოიყო ორი ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხები – ძვ.წ. II (შესაძლოა III ს.) – I საუკუნეების (## 6, 12, 13) და ახ.წ. I-IV საუკუნეების სამარხები (## 1, 2, 4, 5, 9, 10, 14, 15) (სახაროვა 1967. სულავა 1996: 39-41).

2015 წელს შესაძლებლობა მოგვეცა იმავე სამაროვნის ტერიტორიაზე განახლებულიყო არქეოლოგიური გათხრები[38]. ამჟამად სოფელი დაცლილია და გასათხრელი ფართობი, ტერიტორია, ყოფილი მოსახლეების, მინდაძეების და ფალავანდიშვილების ნასახლარებია. 2018 წლის ჩათვლით გაითხარა 18 სამარხი (სურ. 1, 2).

ყვავიქედას ფერდობზე სამაროვნის საძიებო თხრილები (# I-VI) გაკეთდა გიზო ფალავანდიშვილის საკარმიდამო ნაკვეთში, რომელიც მდებარეობს ყვავიქედას იმ ბორცვზე, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს ცხეთის ტაძართან. ნაკვეთს სამხრეთიდან საზღვრავს სოფლის გზა ჩრდილოეთიდან - ყვავიქედას ბორცვი და საცალფეხო ბილიკი, ხოლო დასავლეთის მხრიდან სხვა მოსახლის ნაკვეთი (მინდაძეების ეზო). ეზოს, რომელიც მთლიანად დაფარული იყო ეკალბარდებით და მაღალი ბალახით, შესასვლელი აქვს როგორც სამხრეთი მხრიდან ასევე ჩრდილოეთის მხრიდანაც. ძველი განათხარი ფართობის (60-იანი წლების) მიგნება შეუძლებელი გვეგონა, რადგან იმდროინდელი მცირე დაფინანსებისა და ექსპედიციის დაზვერვითი ხასიათის გამო სამაროვნის შესწავლა წარმოებდა სადაზვერვო-საცდელი თხრილებით. არ გაკეთებულა სიტუაციური გეგმა და არ დადასტურებულა სტრატიგრაფიული მონაცვლეობა. არასრულყოფილია გრაფიკული და ფოტო დოკუმენტაცია (სულავა 1996: 39). 2015 წელს ფალავანდიშვილების ეზოში სახლისა და საბძლის მდებარეობის დადგენით, რაც ორიენტირებათ არის გამოყენებული ლ. სახაროვას დღიურებში, შევძელით სამაროვანზე 1962 წელს გათხრილი 15 სამარხის განლაგების აღდგენა. აგრეთვე, შესაძლებელი გახდა მინდაძეების კარმიდამოს ნაწილშიც, რომელიც ესაზღვრება ფალავანდიშვილების ეზოს, ძველი თხრილებისა და სამარხების მდებარეობის დადგენა. ჩატარებული სამუშაოს შედეგად (დღიურების ანალიზი, სამაროვნის ფართობზე ორიენტირების დადგენა და მათზე დაყრდნობით ძველი თხრილების მდებარეობის განსაზღვრა) მივიღეთ აღდგენილი საველე დოკუმენტაცია – სიტუაციური გეგმა, რომელიც ასახავს 1962 წლის გათხრებს; აღდგენილია სამარხთა განლაგება თხრილებში დონეების მიხედვით; გამოვლინდება გარკვეული კანონზომიერება, რომელიც ახასიათებს ცხეთის სამაროვანს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე ძველი სამარხები (## 6, 12, 13 – 1962 წ. გათხრები) სამაროვნის

[38] არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ,,ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიური ექსპედიცია" (ხელმძღვ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. სულავა).

აღმოსავლეთით არის განლაგებული (სულავა, ესვანჯია 2016: 263-282) ჩატარებული სამუშაო დაგვეხმარება იმაში, რომ 1962 წლის გათხრები დოკუმენტირებულ იქნა და მომავალი გათხრებისას შემოწმდება ის ადგილები, რომელიც არ არის შესწავლილი (სულავა, ესვანჯია 2016).

საორიენტაციოდ ავიღეთ ფალავანდიშვილების სახლის ნასახლარი, რომლის საძირკვლის ორი ფრაგმენტი ხაზავს სახლის კუთხეს, და მის ირგვლივ გაკეთდა სხვადასხვა ზომის (2 × 4 მ - 4 × 4 მ) თხრილები - ## I-VI. ## I, II, III, V, VI თხრილებში აღმოჩნდა სხვადასხვა კულტურული ფენის ნაყარი მასალა - კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი, მათ შორის ერთი განიერკანელურებიანი მოწითალო ნატეხი, მსხვილფეხა ცხოველის ძვლების ფრ-ები, გასული საუკუნის თუჯის კარდალა, ფაიფურის თეფშების ფრაგმენტები. თხრილის შუა ნაწილში აღმოჩნდა დამუშავებული ქვის ფრაგმენტი შუა ადგილზე ჩაღრმავებით და გოფრირებული თიხის ჭურჭლის ყელის ფრაგმენტი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს-ის უნდა იყოს, და შესაძლოა, ნაძრავ მიწაში მოხვდა სახლის მშენებლობისას; # III თხრილში, ფალავანდიშვილების ნასახლარის, ფაქტობრივად სარდაფის, იატაკზე აღმოჩნდა - გასული საუკუნის ფაიფურის თეფშების ფრაგმენტები, სუნამო ,,კრასნაია მოსკვას'' ბოთლი, ალუმინის ტაფა და ჩაის კოვზი. თხრილის ჩრდილო კედელთან აღმოჩნდა გასული საუკუნის 60-70 ლიტრიანი მთლიანი ქვევრი ქვის თავსახურით. როგორც ჩანს, სახლის სარდაფში მარანიც იყო. 80 სმ-ის სიღრმეზე თხრილის აღმოსავლეთ მხარეს აღმოჩნდა მცირე ქვაყრილი შედგენილი სხვადასხვა ჯიშის ქვებისაგან. ქვაყრილში სამარხი არ აღმოჩნდა; # V თხრილში გამოვლინდა ადრეანტიკური კერამიკის პირის ნატეხი, # VI თხრილში აღმოჩნდა რკინის დანა და მწვანე მინის სფერული მძივი. შესაძლოა, ეს მასალა დანგრეული სამარხიდან იყოს[39].

IV თხრილი (სამაროვნის საძიებო თხრილი, რომელიც სამარხების შემცველი გამოდგა) – მდებარეობს ფალავანდიშვილების ნასახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 7 მ-ის დაშორებით, ე.წ. ,,კუხნა სახლთან'', რომელიც საბძელიც იყო. თხრილის თავდაპირველი ზომა 2 × 3,5 მ იყო (ხოლო სამარხების აღმოჩენის შემდეგ მისი ზომა – 4,80 × 3,50 მ). თხრილის გაკეთება გვიკარნახა საბძელის საძირკვლის (მიწის თანამედროვე ზედაპირიდან – H 2,10 მ) ჭრილის გაწმენდისას გამოჩენილმა შავი ფერის კულტურულმა ფენამ. საბძელის საძირკვლის თავზე, ჩრდილოეთის მიმართულებით, მიწის თანამედროვე ზედაპირზე ერთი ბარისპირის მოხსნის შემდეგ ამოვიდა კერამიკის მცირე ფრაგმენტები. ხოლო 32-35 სმ-ის სიღრმეზე თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოჩნდა მოზრდილი ქვების გროვა, საიდანაც ამოჩრილი იყო ადამიანის ბარძაყის ძვლები. შემდეგ ჩრდილოეთისაკენ გამოჩნდა თავის ქალა, რომელსაც თავზე ედო ბრტყელი ქვა (27 × 40 სმ, სისქე 4-5 სმ) (სურ. 3, 4).

[39] ანალოგიური დანა და მძივი, აქვე, 60-იან წლებში შესწავლილი სამარხებიდანაცაა ცნობილი (იხ.: სახაროვა 1963: ? . სულავა 1996: ?).

ეს სამარხი დაინომრა # 1 (2015) -ით . იგი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 55-60 სმ-ის სიღრმეზე. პრეპარაციის შედეგად გაირკვა, რომ მიცვალებულს ირგვლივ შემოწყობილი ქონდა მოზრდილი ფლეთილი ქვები (6 ქვა), თავზე ედო ბრტყელი ქვა, ხოლო ოდნავ მოშორებით, თავთან 5-7 სმ-ით უფრო მაღალ დონეზე ჩრდილოეთის მხრიდან მართკუთხა ფორმის ქვა (28 × 20 სმ, სისქე 11-12 სმ) იყო ჩადგმული, რომელიც შესაძლოა სამარხის ნიშანქვა იყო. სამარხი დაახლოებით 1,50 × 60 სმ ზომისაა. ჩონჩხი საკმაოდ კარგად იყო დაცული. მიცვალებული მამაკაცია, წევს თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ფეხებმოკეცილი, მაგრამ ტორსით გულაღმა. მკლავები ტორსის გასწვრივ წელის არეში იყო ერთმანეთზე გადადებული. მიცვალებულს ჩატანებული ქონდა ბრინჯაოს ორი რგოლი (მენჯის ძვალთან), რკინის სადგისი და აბზინდა, თავგახვრეტილი სალესი ქვა (სურ. 5).

2 (2015) სამარხი გამოჩნდა # 1 სამარხიდან 0,5 მეტრის მოშორებით აღმოსავლეთის მხრიდან, თითქმის იგივე სიღრმეზე - 55-60 სმ. # 2 სამარხი მონიშნულია ერთი, თითქმის მართკუთხა დიდი ქვით (35 × 30 × 25 სმ) და ვერტიკალურად მდგომი მართკუთხა ქვით (22 × 23 × 8 სმ) თავის ქალასთან. დაკრძალულია ერთმანეთზე 2 მიცვალებული (ქალი და მოზარდი), თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ფეხებმოკეცილი. ჩონჩხები უფრო ცუდადაა შემორჩენილი. თავთან დგას სფერულმუცლიანი დოქი და ძლიერჩაშლილი ჭურჭელი. მიცვალებულების ყელისა და მხრის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს ფიბულა რკალზე ლურჯი მინის თვალით, დისკოსებური მძივი (გიშერი ?), სარდიონის და მინის მძივები, რკინის სამაჯურისა და სადგისის ფრაგმენტი. თავის ქალების აღების შემდეგ გამოჩნდა მოზრდილი ბრტყელი ქვა, რომელიც მიცვალებულთა სასთუმლად იყო გამოყენებული (სურ. 6).

IV თხრილის ნიადაგის ფენა-ფენად აღებამ საბძელის მხრიდან გაამყარა ჩვენი აზრი, რომ სამაროვანი გამართულია ნასახლარის კულტურულ ფენაზე. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 70 სმ-ის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა კერამიკის შემცველი ფენა. კერამიკის ნატეხებს შორის არის შავზედაპირიანი ქედისებურკანელურიანი ქვევრის ფრ-ი.

IV თხრილის ჩრდილოეთ მხარეს უღლის მოხსნისას, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 40 სმ-ის სიღრმეზე, # 1 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, 35 სმ-ის მოშორებით გამოჩნდა მიცვალებულის ძვლები - წვივისა და ბარძაყის ძვლები, რომელიც # 3 სამარხს ეკუთვნის.

3 (2015) სამარხის მიცვალებული წევს მარცხენა გვერდზე ხელფეხმოხრილი თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხის ზომა – 1,10 × 50 სმ. თავთან ედგა დოქი, ხოლო წელის არეში აღმოჩნდა რკინის მრგვალი აბზინდა. მიცვალებული იწვა ბრტყელ რიყის ქვაზე (სურ. 7).

1 სამარხის აღმოსავლეთით მდებარე, თითქოს საგანგებოდ დალაგებული 6 ქვის წყობა ჩავთვალეთ სამარხად. მაგრამ ამ ქვების აყრის შემდეგ მის ქვეშ ჩონჩხი არ აღმოჩნდა. თითქმის ერთი ბარისპირის სიმაღლის მიწის ფენის მოხსნის შემდეგ, ქვის წყობის (რომელიც, როგორც ჩანს, დაცურებული იყო) ჩრდილოეთით, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 80 სმ-ზე გამოჩნდა ჩონჩხი - # 4 სამარხი.

4 (2015) სამარხის მიცვალებული ქალი წევს თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მარცხენა გვერდზე, ხელები გადადებული აქვს გულმკერდზე, ფეხები მოხრილი აქვს. სამარხი ორმო ოვალური ფორმისაა, ზომით – 1,20 × 60 სმ. მკლავებზე უკეთია ორი სხვადასხვაგვარი ზურგშედრეკილი სამაჯური. ყელის არეში არმოჩნდა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მძივსამკაული (სურ. 8).

4 სამარხიდან 70 სმ-ის მოშორებით, მის სამხრეთ-დასავლეთით, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 60 სმ-ის სიღრმეზე (20 სმ-ით უფრო მაღლა # 4 სამარხზე) გამოჩნდა სამარხის ნაშთი, ბარძაყისა და ნეკნების ფრაგმენტები. # 4 სამარხიდან 90 სმ-ის მოშორებით, მის სამხრეთ-დასავლეთით, ასევე დაფიქსირდა მეორე მიცვალებულის ნაშთები, ბარძაყის ძვლები, რომელიც # 4 თხრილის დასავლეთ ჭრილში გამოჩნდა. ასევე თავის ქალის ფრაგმენტი გამოჩნდა # 4 სამარხის სამხრეთით, ,,საბძელთან'' ახლოს; როგორც ჩანს, ეს სამარხი განადგურდა ამ ნაგებობის მშენებლობისას.

ამგვარად, 2015 წლის არქეოლგიურ სეზონზე ,,ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ'' შეისწავლა 4 სამარხი (სურ. 9, 10). გაირკვა, რომ ჩვენს მიერ გამოვლენილი 4 სამარხი განლაგებული იყო ძვ.წ. VIII-V სს-ის ნასახლარის ფენებზე ორ დონედ. ნასახლარის გვიანდელ ფენასთან (და ამიტომ ასაკითაც) უფრო ახლოს არის სამარხი # 4 (სიღრმე – 80 სმ), რომელიც თანმხლები მასალის (ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურები, მძივსამკაული) მიხედვით ძვ.წ. IV-III სს-ს განეკუთვნება. ხოლო დანარჩენი 3 სამარხი (## 1, 2, 3 – სიღრმე 50-60 სმ) გვიანანტიკური ხანის, ახ.წ. პირველ საუკუნეებს განეკუთვნება. სამარხებში მოპოვებული მასალა ანალოგიურია 60-იან წლებში გათხრილი სამარხებისა.

2016 წელს სამუშაოები გაგრძელდა კვლავ # IV თხრილში, სადაც გამოვლინდა 5 სამარხი. სამარხების განლაგების მიხედვით თხრილი გაგანიერდა და დაღრმავდა.

5 (2016) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 90 სმ-ზე, # IV თხრილის აღმოსავლეთ მხარეს. ჩონჩხი, რომელიც გაშოტილ მდგომარეობაში O-W ორიენტაციით იყო დაკრძალული, ნაკლულია; როგორც ჩანს თავის ქალა საბძლის მშენებლობამ შეიწირა. ინვენტარი არა აქვს. სამარხი (ისევე როგორც სხვა სამარხები) ჩაჭრილია ადრეული კერამკის შემცველ ფენაში.

6 (2016) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1. 10 მ-ზე, # IV თხრილის დასავლეთ მხარეს. ჩონჩხი დაკრძალულია NW-SO ორიენტაციით, დაკრძალულია კიდურებმოხრილი, თავთან დოქით, წელთან რკინის მოხრილი დანითა და მრგვალი აბზინდით; აგრეთვე, წელთან აქვს სალესი ქვა და კაჟის ნატეხი და კბილი (შესაძლოა კბილი და კაჟი რაიმე ქსოვილის ქისაში ედო და წელთან ეკიდა) (სურ. 11, 12).

7(2016) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0, 90 მ-ზე, # IV თხრილის აღმოსავლეთ მხარეს. ჩონჩხისგან გადარჩენილია მხოლოდ კიდურები, დანარჩენი დაზიანებულია, როგორც ჩანს, საბძლის მშენებლობის დროს.

8 (2016) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,20 მ-ზე, # IV თხრილის სამხრეთ მხარეს. ჩონჩხი დაკრძალულია გაშოტილი W-O ორიენტაციით, 10-15 სმ სიღრმის ოვალურად ამოჭრილ თირისმაგვარ ორმოში, თავთან მარჯვენა მხარეს უდევს 10X9 სმ ზომის ქვა; სამარხს ზემოდან რაიმე ნიშნული არ ქონდა. თავთან უდევს ყურიანი ტოლჩა, პირში ედო ბრინჯაოს მონეტა (ავგუსტუსი), მარცხენა მკლავის გასწვრივ 32 სმ სიგრძის რკინის მასრიანი შუბისპირი, მარჯვენა მკლავთან 90 სმ სიგრძის რკინის მახვილი ტარის თავზე ბრინჯაოს კნოპით, როგორც აღებისას გაირკვა, ის ხის ქარქაშში უნდა ყოფილიყო ჩაგებული; წელის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს მრგვალი აბზინდა და რკინის მოხრილი დანა. ამ ,,მეომრის" ფეხებთან აღმოჩნდა დაკრძალული მოზარდი, რომელსაც თავთან ედო დოქი (სურ. 13, 14). პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური ნაშთების შესწავლის გზით შესწავლილია № 8 (2016 წ.) სამარხის მოზარდის თავთან აღმოჩენილი დოქის ორგანული ნაშთები. დადგინდა, რომ სამარხეული დოქები ღვინისა და წყლისათვის გამოიყენებოდა; მტვრის მარცვლებს შორის აღმოჩნდა ვაზის მტვერი ვენახის სარეველებთან ერთად. დოქების ნიმუშებში დიდი რაოდენობითაა ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, რაც სამარხეში ხის კონსტრუქციის არსებობაზე მიუთითებს, ხოლო სელის ბოჭკოები, რომლებიც ასევე მრავლადაა ნიმუშების პალინოლოგიურ სპექტრში, სამოსის ან დოქზე გადაფარებული სელის ქსოვილის ნაშთი უნდა იყოს. არაპალინოლოგიური ნაშთებიდან ტკიპების სიმრავლე მიცვალებულების თბილ სეზონზე დაკრძალვის დასტურია (სულავა ნ., ჭიჭინაძე მ. 2025: 82-92).

9 (2016) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 50-70 მ-ზე, # IV თხრილის აღმოსავლეთ მხარეს. ნახშირებიან 7-10 სმ-იან ფენაზე იდო გაწითლებული ქვები, რომლიდანაც გამოჩრილი იყო წვივის დიდი ძვალი და თავის ქალა მომძვრალი ყბით; იქვე იყო კერამიკის ფრაგმენტები. როგორც ჩანს, სამარხს დაზიანებული აქვს, სამარხი ჩაჭრილია ნასახლარის ფენაში,

სადაც ალიზის გაწითლებული გროვებიც დადასტურდა, ხოლო თვით სამარხი დაზიანებული აქვს საბძლის მშენებლობას.

ცხეთის სამაროვნის სამხრეთი საზღვარი, სავარაუდოდ, ფალავანდიშვილების ეზოს სამხრეთით, სადაც ცხეთის ტაძრისკენ მიმავალი გზა გადის, უნდა თავდებოდეს და ამ გზით უნდა იყოს დაზიანებული.

ამგვარად, 2016 წლის არქეოლგიურ სეზონზე ,,ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ'' თხრილებისა და ჭრილების მიხედვით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ძვ.წ. VIII-V სს-ის ნასახლარის ფართობი საკმაოდ დიდია და მისი საზღვრების დადგენა რთულია, რადგან მთელი ეს ტერიტორია ხშირად იმეწყრება და ნიადაგის ფენები დაძრულია. ამიტომ ძნელია in situ ფენის გამოვლენა. ჩვენს მიერ გაკეთებულ თხრილებში კვლავ აღმოჩნდა ტიპური კოლხური კერამიკის ნიმუშები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მთიანი კოლხეთის – ლეჩხუმის ორგანულ კავშირს თანადროულ კოლხეთთან.

2017 წელს სამუშაოები კვლავ # IV თხრილში გაგრძელდა. სამარხების განლაგების მიხედვით თხრილი გაგანიერდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს და ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

10 (2017) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 40 სმ-ზე, # IV თხრილის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. მიცვალებული (მოზარდი) კიდურებმოხრილ მდგომარეობაში OO-W ორიენტაციით იყო დაკრძალული, თავით აღმოსავლეთისაკენ; ჩონჩხი ძლიერ იყო დაზიანებული; ინვენტარი: ბრინჯაოს ზარაკი, 1 ცალი ლურჯი მინის გაუმჭვირვალე მძივი, 1 ცალი ოქროფენილი მინის მძივი, რკინის დანის წვერი და ლურსმნის თავი. როგორც გამოირკვა, სამარხი შემთხვევით იყო გადარჩენილი, რადგან უშუალოდ მის თავზე გადადიოდა ფალავანდიშვილების სახლის რაღაც სათავსის კედელი, რომელიც წარმოადგენდა ორრიგად განლაგებული საშუალო ზომის ფლეთილი ქვების წყობას; შეიძლება, ეს წყობა რაღაც ნაგებობის საძირკველი იყო.

11 (2017) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1.10 მ-ზე, # IV თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. ეს სამარხიც ჩაჭრილია ნასახლარის ფენებში, რომელიც კერამიკის უამრავი ფრაგმენტით არის წარმოდგენილი. თავიდან ჩანდა მხოლოდ ბარძაყის ძვალი, რომლის პრეპარაციისა და დაღრმავების შემდეგ გამოჩნდა, რომ ამ სამარხში თავდაპირველად დაკრძალული იყო 2 მიცვალებული (პირველი და მე-2), ერთმანეთთან თავებმიდებული, კიდურებმოხრილი, თავთან ქოთნით. შემდგომი პრეპარაციის შედეგად კიდევ ერთი მიცვალებულის ჩონჩხი (მე-3) გამოჩნდა, რომელსაც იგივე პოზა და დამხრობა ქონდა და თავი ედო ბრტყელ ქვაზე, ხოლო წელის არეში - დოქი იყო; ამ ჩონჩხის პრეპარაციის შემდეგ გამოჩნდა კიდევ ერთი (მე-4) ჩონჩხი, რომელსაც თავი ქვაზე ედო

და თავთან კი დოქი. მიცვალებულები დაკრძალულია ანუ სამარხები ორიენტირებულია W-O-კენ, თავით დასავლეთისაკენ. სავარაუდოდ, ჯერ დაიკრძალა პირველი და მე-2 მიცვალებული, რადგან ისინი ოდნავ დაბლა არიან, და მერე მე-3 და მე-4 მიცვალებული (სამარხები ## 2,3,4-2017). ინვენტარი: ბრინჯაოს საყურე რგოლები, რკინის აბზინდები და დანები, მრავალფეროვანი მძივები (სურ. 15, 16).

12 (2017) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1. 40 მ-ზე, # IV თხრილის დასავლეთ მხარეს. მიცვალებული კიდურებმოხრილია, სავარაუდოდ ქალია, სამარხი ორიენტირებულია W-O-კენ, თავით დასავლეთისაკენ, ინვენტარი: რკინის ნივთის ფრაგმენტი, მინის თეთრი მძივი.

13 (2017) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,30 მ-ზე, # IV თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს (ფაქტობრივად, # 14 სამარხიდან დაახლ. 15-20 სმ-ში). მიცვალებული დაკრძალულია მოხრილი, W-O ორიენტაციით, თავით აღმოსავლეთისაკენ. ჩონჩხი ცუდად არის დაცული. ინვენტარი: ბრინჯაოს სამაჯურები, ფიბულა (?), მძივები, რკინის რაღაც ნივთების ფრაგმენტები.

14 (2017) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1.30 მ-ზე, # IV თხრილის აღმოსავლეთ მხარეს (# 11 სამარხის მე-4 მიცვალებულის ქვეშ, # 13 სამარხიდან დაახლ. 15-20 სმ-ში). ინვენტარი: დოქი, რკინის დანა.

ამგვარად, 2017 წლის არქეოლგიურ სეზონზე ,,ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ'' ანტიკური ხანის 5 სამარხი (სურ. 17).

2018 წელსაც გაგრძელდა სამუშაოები ყვავიქედას ფერდობზე გიზო ფალავანდიშვილის საკარმიდამო ნაკვეთში, როგორც ნახეთ, 2015 წელს გაკეთებული 6 საძიებო თხრილიდან მხოლოდ ერთი # IV თხრილი აღმოჩნდა სამარხების შემცველი, სადაც გაგრძელდა შემდეგ წლებში მუშაობა.

2018 წელს სამუშაოები კვლავ # IV თხრილში ვაწარმოებდით, სადაც გამოვლინდა 4 სამარხი.

15 (2018) სამარხი აღმოჩნდა # IV თხრილის აღმოსავლეთ ჭრილთან, 1, 10 მ-ის სიღრმეზე. გამოირკვა, რომ ორი მიცვალებული ერთნაირად კიდურებმოხრილ მდგომარეობაში თავით ჩრდილოეთისაკენ იყო დაკრძალული; ჩონჩხები ძლიერ იყო დაზიანებული. ინვენტარი: ბრინჯაოს მკვეთრადპროფილირებული ფიბულა[40], 2 ცალი ზარაკი და აბზინდა რკინის ენით, ბრინჯაოს 3 ცალი სამაჯური, რკინის მოხრილი დანის ფრ-ები, წყვილყურიანი დოქის მხოლოდ ყური და სხვა კერამიკის ფრ-ები (სურ. 18).

[40] რომლის ანალოგიურებიც აღმოჩენილია 1962 წლის გათხრების დროს.

16 (2018) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1. 60 მ-ზე, # IV თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. დაკრძალული იყო 2 მიცვალებული, ერთმანეთთან თავებმიდებული, თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხი ნაკლული და დეფორმირებულია, ბარძაყის ძვლები თავის ქალასთან არის ამოსული, ნაკლულია, რადგან სხვა ძვლები არ ჩანს. ინვენტარი: ბრინჯაოს 2 ცალი მძივი და ქვის კვირისტავისებური მძივი, რკინის დანა (სურ. 19).

17 (2018) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1, 40 მ-ზე, # IV თხრილის სამხრეთ მხარეს. მიცვალებულები კიდურებმოხრილია, სავარაუდოდ 2 მიცვალებულია, სამარხი ორიენტირებულია-დასავლეთისაკენ, თავით ჩრდილოეთისაკენ; მიცვალებულებს ზემოდან ალაგია ცხენის წვივის ძვლები; ინვენტარი: ბრინჯაოს სამაჯური, რკინის დანის ფრაგმენტები, მინის სხვადასხვაგვარი მძივები (სურ. 20).

18 (2018) სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 40 სმ-ზე, # IV თხრილის სამხრეთით გაფართოვების დროს. შემორჩენილია ჩონჩხის მხოლოდ ფრაგმენტები, ფაქტობრივად მხოლოდ მასალის მიხედვით ვასკვნით, რომ აქ სამარხი ყოფილა. ინვენტარი: ბრინჯაოს სამაჯური, მძივები (სურ. 21, 22).

დასკვნა

ამგვარად, 2015-2018 წლის არქეოლგიურ სეზონებზე ,,ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ'' შეისწავლა ანტიკური ხანის 18 სამარხი. ქრონოლოგიური დიაპაზონით ეს სამარხები ემთხვევა 1962 წელს გათხრილი სამარხების ქრონოლოგიას. სამარხეული მასალებიც თითქმის ერთგვაროვანია; მხოლოდ ახალი ტიპის ფიბულა (სურ. 23) დაემატა ცხეთის სამაროვნის ფიბულების კოლექციას, რომელიც წარმოდგენილია თანადროულ ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ფიბულების თითქმის ყველა სახეობით (სულავა 1996:).

ცხეთის სამაროვნის სამარხეული მასალა მოსახლეობის საშუალო ფენას უნდა ეკუთვნოდეს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სადეხვირო დაწინაურებული რეგიონი იყო, აქ მდიდრული სამარხების არსებობაც სავარაუდოა[41].

ლიტერატურა

სახაროვა ლ. 1967. ანტიკური ხანის სამარხები. ჟურნ. ,,საბჭოთა ხელოვნება'', # 9, თბ.

სულავა ნ. 1996. მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში. თბილისი.

[41] იხ.: ჩვენი მოსაზრება დეხვირის აკლდამასთან დაკავშირებით (იხ.: სულავა ნ., მამიაშვილი ვ. 2022: 16-26).

სულავა ნ., აღაპიშვილი თ., კოპალიანი ნ., ქორიძე ი., პატარიძე მ., ბაქრაძე ი., ჩაგელიშვილი რ., მამარდაშვილი გ. 2012. ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ალბომი. თბილისი.

სულავა ნ., 2014. ცხეთის სამაროვანი. ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები, I. თბილისი.

სულავა ნ., ესვანჯია ი. 2016. ცხეთის სამაროვნის სამარხთა განლაგების რეკონსტრუქცია. ძიებანი # 23. თბილისი.

სულავა ნ., მამიაშვილი ვ. 2022. დეხვირის აკლდამის შესახებ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, X (55-ბ). თბილისი.


სულავა ნ. 2024. სადეხვირო და არქეოლოგია. მუზეუმი და გლობალიზაცია IV საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი.

სულავა ნ., ჭიჭინაძე მ. 2025. პალინოლოგიური კვლევის შედეგები ანტიკური ხანის ცხეთის სამაროვანზე (ლეჩხუმი, საქართველო). მუზეუმი და გლობალიზაცია II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული (2022). ბათუმი.

სურ. 1



სურ. 2.




სურ. 3, 4.







სურ. 5.


სამაროვანი
სამარხი N 1 (16)
0 25 125
0 1 2 3


სურ. 6.


სამაროვანი
სამარხი N 2 (17)
0 25 125
0 2 4 6
0 1 2 3


სურ. 7.



სამაროვანი
სამარხი N 3 (18)
124
0 1 2 3
125
125
0 2 4 6
0 25 125

სურ. 8.



სამაროვანი
სამარხი N 4 (19)
126
130
128
129
127
0 1 2 3
0 25 125

სურ. 9, 10.






სურ. 11, 12.






სურ. 13, 14.






სურ. 15, 16.





ცხეთა (2017)
თხრილი N4
სამარხი N2, 3, 4
ჩრდ
ჭრილი 1 - 1
სამარხი N2
სამარხი N3
სამარხი N4
0 20 40 60 80 cm


სურ. 17.




სურ. 18 (სამარხი # 15(1)).



სურ. 19 (სამარხი # 16(2)).



სურ. 20 (სამარხი # 3)).



სურ. 21, 22 (სამარხი # 4).





სურ. 23.

